



**გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა - მარნეულის მუნიციპალიტეტში,
სოფ. იაღლუჯას მიმდებარედ, საპროექტო 105.6 მგვტ მზის
ელექტროსადგურის, 220/35 კვ ძაბვის ქვესადგურის და 220 კვ ძაბვის
საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა-ექსპლუატაცია**

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: მარნეულის მუნიციპალიტეტში, სოფ. იაღლუჯას მიმდებარედ, საპროექტო 105.6 მგვტ. მზის ელექტროსადგურის, 220/35 კვ ძაბვის ქვესადგურის და 220 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტი

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „იტეკ მარნეული 100 მვტ“

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: მარნეულის მუნიციპალიტეტი

საჯარო განხილვის ორგანიზატორი: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი:

- 2026 წლის 4 თებერვალი, 12:00 საათი, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის შენობა (მის.: რუსთაველის ქ. N 73)

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიმღებ უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო.

საჯარო განხილვა ღიაა, მასში მონაწილეობის, ასევე შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.

წარმოდგენილ გზშ-ის დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, წარუდგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2026 წლის 18 თებერვლის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გთხოვთ, შენიშვნის/მოსაზრების ელფოსტაზე გამოგზავნისას მიუთითოთ შემდეგი ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). დამატებით გაცნობებთ, რომ მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge, ტელ: +995 32 2439503/+995 32 2439510).



გარემოს ეროვნული
სააგენტო

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-12 მუხლის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში საქმიანობის განმახორციელებლის მხრიდან განცხადება დარეგისტრირდა **2025 წლის 16 დეკემბერს**. კოდექსის მე-12 მუხლის მე-9 ნაწილის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების დაჩქარებული წესით გაცემის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 51-ე და არაუგვიანეს 55-ე სამუშაო დღისა, ხოლო ამ კოდექსის მე-14 მუხლით განსაზღვრული საფუძვლის არსებობისას მიიღება გადაწყვეტილება საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სახელმძღვანელო დოკუმენტი „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“.

პროექტის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე:
<https://ei.gov.ge/ka/info/41cfb84d-c3b1-45ce-bced-f13d40b66950>